საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 04-15/5584
13/06/2023

5584-04-15-2-202306131507

საქართველოს პრემიერ-მინისტრს,
ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულთათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საყოფაცხოვრებო სუბსიდიის გაზრდის თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21–ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო ირაკლი,

საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით[1] მიმართა ფონდი ,,9 აპრილი''-ს გენერალურმა დირექტორმა გელა მაღრაძემ ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი საპროტესტო აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულთათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სოციალური გარანტიების სიმცირესთან დაკავშირებით. განმცხადებლის განმარტებით, მოქმედ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა ის სოციალური პაკეტი/საყოფაცხოვრებო სუბსიდიები, რომლებიც შესაბამისი ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული იყო 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი საპროტესტო აქციის დარბევის შედეგად დაღუპულთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და დაზარალებულთათვის.

[11] 2023 წლის 7 აპრილის №3955/23 განცხადება.

მოცემული საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან გამოითხოვა ინფორმაცია, მოქმედი კანონმდებლობით/ნორმატიული აქტებით რა სახის სოციალური პაკეტი/საყოფაცხოვრებო სუბსიდია/სოციალური დაცვის გარანტიებია გათვალისწინებული ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაღუპულ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და დაზარალებულ პირთათვის.

ამავე უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციით[2] აღნიშნულ პირთათვის სახელმწიფო გასაცემლის (საყოფაცხოვრებო სუბსიდიის) ადმინისტრირება (დანიშვნა/ცვლილებები) 2007 წლის 1 იანვრიდან ხორციელდება მხოლოდ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის №4 დადგენილებით დამტკიცებული წესის („სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ") მოთხოვნათა შესაბამისად. აღნიშნული ნორმატიული აქტის მე-4 მუხლის ,,მ", ,,ნ" და ,,ო" ქვეპუნქტების თანახმად, საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიღების უფლება აქვთ:

- ქ. თბილისში, 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს - ყოველთვიურად 44 ლარი;
- ქ. თბილისში, 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაღუპულთა შრომისუუნარო მშობლებს; შრომისუუნარო მეუღლეს, რომელიც შემდეგ აღარ დაქორწინებულა, და არასრულწლოვან შვილს ან/და ნაშვილებს - ყოველთვიურად 44 ლარი;
- ქ. თბილისში 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის დროს დაზარალებულ პირებს - ყოველთვიურად 22 ლარი.

ამასთან, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №279 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური პაკეტის გაცემის წესი და პირობების" მე-16 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „პირს, რომელიც 2012 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით არ არის პენსიაზე უფლების მქონე პირი და იღებდა საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის „საპენსიო უზრუნველყოფისა" და „სოციალური დაცვის" პროგრამული კოდებით დაფინანსებულ, რაიმე სახის ყოველთვიურ ფულად გასაცემელს (გარდა სახელმწიფო კომპენსაციისა, საარსებო, რეინტეგრაციის, დევნილთა, ასევე ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა ყოველთვიური შემწეობებისა), რომლის ჯამური ოდენობა ტოლია ან აღემატება ამ წესის მე-5 მუხლით განსაზღვრულ შესაბამის მიმღებ პირთა წრისათვის გათვალისწინებული სოციალური პაკეტის ოდენობას, ან რომელიც არ განეკუთვნება ამ წესის მე-5 მუხლით განსაზღვრულ მიმღებ პირთა წრეს, უწყდება ზემოაღნიშნული პროგრამული კოდებით დაფინანსებული გასაცემლები და იმავე ოდენობის შესაბამისი თანხების გაცემა

[2] სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2023 წლის 3 მაისის №SSA02300467258 წერილი.

უგრძელდება შეჯამებულად სოციალური პაკეტის სახით ამ წესის მე-12 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეწყვეტის საფუძვლების წარმოშობამდე.“ აღნიშნულიდან გამომდინარე პირები, რომლებიც 2012 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით არ იყვნენ საპენსიო ასაკის (არ ჰქონდათ დანიშნული სახელმწიფო პენსია) და დანიშნული ჰქონდათ მხოლოდ საყოფაცხოვრებო სუბსიდია, 2012 წლის 1 სექტემბრიდან გახდნენ სოციალური პაკეტის მიმღებები „მოპოვებული უფლებით''.

აქვე აღსანიშნავია, რომ ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაღუპულთა ოჯახის წევრების, შშმ სტატუსის მქონე და დაზარალებული პირების ერთიან სააღრიცხვო ბაზაში აღრიცხვას ახორციელებს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო. ამავე უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციით,[3] 2023 წლის 1 აპრილის მდგომარეობით აღნიშნულ ბაზაში ირიცხება:

- ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე - 123 პირი;
- ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაღუპულთა ოჯახის წევრი - 5 პირი;
- ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის დროს დაზარალებული სულ - 299 პირი.

1999 წლის 9 დეკემბერს ,,ქალაქ თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულთა აღიარებისა და მათი სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ'' საქართველოს კანონის მიღებით საქართველოს პარლამენტმა დაგმო ანტიჰუმანურ იდეოლოგიაზე დაფუძნებული ტოტალიტარული რეჟიმის მიერ ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს ჩადენილი ვანდალური აქტი - მშვიდობიანი აქციის დარბევა, აღიარა საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის შედეგად ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა და დაზარალებულთა მიერ ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლასა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნაში შეტანილი განსაკუთრებულ წვლილი და მათთვის ჯეროვანი პატივის მიგების მიზნით მიიღო აღნიშნული კანონი.

როგორც მოგეხსენებათ, 9 აპრილს მშვიდობიანი საპროტესტო აქცია საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის მოთხოვნით გაიმართა, რომელშიც ათასობით მშვიდობიანი მოქალაქე მონაწილეობდა. რუსთაველის გამზირზე გამართული საპროტესტო აქცია სასტიკად დაარბიეს საბჭოთა კავშირის სამხედრო ნაწილებმა მხუთავი აირის, ორლესილი ნიჩბებისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით. რის შედეგადაც

[3] სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2023 წლის 3 მაისის №SSA02300467258 წერილი.

დაიღუპა 21, დაიჭრა და მოიწამლა ათასობით ადამიანი. საპროტესტო აქციის მონაწილეთა ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი გამოხატული იყო როგორც სხვადასხვა სახის ტრავმით, მომწამვლელი ნივთიერებებით მოწამვლის სახით ან მათი კომბინაციით. ასევე, სხვადასხვა ფსიქო-ემოციური აშლილობით. იმ პერიოდისათვის აღნიშნული მოვლენის უპრეცედენტობასთან ერთად, სიტუაციას ამძაფრებდა ის გარემოება, რომ აქციის მონაწილეთა მიმართ გამოყენებული მომწამვლელი ქიმიური ნივთიერებების სახეობა უცნობი იყო სამედიცინო დაწესებულებებისათვის. აღნიშნული ინფორმაციის დაფარვამ ხელი შეუშალა მოწამლულთა მკურნალობის სწორი მეთოდიკისა და საშუალებების შერჩევას. შედეგად, არასრულფასოვანმა მკურნალობამ მათი ჯანმრთელობისათვის შეუქცევადი და გამოუსწორებელი ზიანი გამოიწვია და საჭირო გახადა განუსაზღვრელი ვადით მათი მკურნალობა.

9 აპრილი ქართული ეროვნული სუვერენიტეტისთვის ბრძოლაში უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენაა. ამდენად, მათი მონაწილეების როლი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებაში ფასდაუდებელია. სწორედ აღნიშნული გარემოების გამო სახელმწიფომ იკისრა ვალდებულება განსაკუთრებული მზრუნველობის ქვეშ მოექცია ისინი. თუმცა, დღევანდელი მოცემულობით, მზარდი ეკონომიკური/სოციალური მოთხოვნილებების ფონზე, სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებულ მზრუნველობად არ შეიძლება ჩაითვალოს 9 აპრილის საპროტესტო აქციის მონაწილეთათვის ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტით გათვალისწინებული საყოფაცხოვრებო სუბსიდია. აღნიშნული სუბსიდიის სიმცირე მკვეთრად აკნინებს 9 აპრილის მონაწილეთა დამსახურებას ქართული სახელმწიფოს წინაშე და არ მოაქცევს მათ განსაკუთრებული მზრუნველობის ქვეშ, რაც რეგლამენტირებულია ,,ქალაქ თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულთა აღიარებისა და მათი სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ'' საქართველოს კანონი პრეამბულით.

სამწუხაროა, მაგრამ რეალობაა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ 9 აპრილს ათასობით დაზარალებულ პირთა რიცხვი დღევანდელი მონაცემებით მხოლოდ რამდენიმე ასეულს ითვლის (427 პირი).[4] ამდენად, სახელმწიფოსთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული უნდა იყოს 9 აპრილის მონაწილე პირებისთვის მათი ღვაწლის სათანადო დაფასების მიზნით შესაბამისი საყოფაცხოვრებო სუბსიდიის განსაზღვრა. ასევე, უნდა აღინიშნოს რომ მათი რიცხოვნობის სიმცირიდან გამომდინარე აღნიშნული მიზნის მიღწევა მძიმე ტვირთად არ დააწვება სახელმწიფო ბიუჯეტს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ წინადადებით განიხილოთ „სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის №4 დადგენილების მე-4 მუხლის ,,მ'', ,,ნ'' და ,,ო'' ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ოდენობის გაზრდის შესაძლებლობა, რათა მიღწეულ იქნას ,,ქალაქ თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს

[4] სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2023 წლის 3 მაისის №SSA02300467258 წერილი.

დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულთა აღიარებისა და მათი სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ" საქართველოს კანონის პრეამბულით განსაზღვრული ლეგიტიმური მიზანი.

პატივისცემით,

ლევან იოსელიანი

სახალხო დამცველი

.